საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-654

27/07/2020

ქ. თბილისი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მდ. აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (9,8 მგვტ სხალთა ჰესი და 175 მგვტ შუახევი ჰესი) პროექტში განხორციელებულ ცვლილებებსა (9,0 მგვტ სხალთაჰესი, 178,7 მგვტ შუახევი ჰესი და 145 კვტ დიდაჭარა მიკროჰესი) და შუახევი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 13 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მდ. აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (9,8 მგვტ სხალთა ჰესი და 175 მგვტ შუახევი ჰესი) პროექტში განხორციელებულ ცვლილებებსა (9,0 მგვტ სხალთაჰესი, 178,7 მგვტ შუახევი ჰესი და 145 კვტ დიდაჭარა მიკროჰესი) და შუახევი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის განთავსებაზე გაიცა №33 (15.05.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოს დაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2017 წლის №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „მდ. აჭარისწყალზე შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (9,8 მგვტ სხალთა ჰესი და 175 მგვტ შუახევი ჰესი) პროექტის ცვლილებაზე (9,0 მგვტ სხალთა ჰესი, 178,7 მგვტ შუახევი ჰესი და 145 კვტ დიდაჭარა მიკროჰესი) და შუახევი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 18 მაისის №ი-249 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2017 წლის №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მდ. აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (9,8 მგვტ სხალთა ჰესი და 175 მგვტ შუახევი ჰესი) პროექტში განხორციელებულ ცვლილებებსა (9,0 მგვტ სხალთაჰესი, 178,7 მგვტ შუახევი ჰესი და 145 კვტ დიდაჭარა მიკროჰესი) და შუახევი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის განთავსებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №33; 15.05.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მდ. აჭარისწყალზე შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (9,8 მგვტ სხალთა ჰესი და 175 მგვტ შუახევი ჰესი) პროექტის ცვლილებაზე (9,0 მგვტ სხალთა ჰესი, 178,7 მგვტ შუახევი ჰესი და 145 კვტ დიდაჭარა მიკროჰესი) და შუახევი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 18 მაისის №ი-249 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი